

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„თავისუფალი დემოკრატების“
წესდების ახალი რედაქცია

თავი I - ზოგადი დებულებანი

- 1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება " თავისუფალი- დემოკრატები", ინგლისურ ენაზე - „ Free Democrats ", (შემდგომში „პარტია“) არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, დემოკრატიულ ფასეულობებს, ემსახურება საქართველოს მოქალაქეთა ნების გამოხატვას და სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სოციალურ-კულტურული ინტერესების გაცნობიერებით, იცავს და ამკვიდრებს ლიბერალური დემოკრატიის, ეროვნული თვითმყოფადობის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის პრინციპებს.
- 1.2. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ წესდებისა და პარტიის ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- 1.3. პარტიის საქმიანობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- 1.4. პარტიის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:
 - ა) პარტიაში გაწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;
 - ბ) დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
 - გ) არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;
 - დ) პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა;
- 1.5. პარტია წარმოადგენს არასამეწარმეო იურიდიულ პირს. მას აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში. პარტიას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი. პარტია უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.
- 1.6. პარტიის ემბლემა გრაფიკული სიმბოლიკის მთავარი ელემენტია, რაც იოლად იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. პარტიის ემბლემა წარმოადგენს კომბინირებულ სიმბოლოს, რომელშიც ერთდროულად სიტყვიერი და გამომსახველობითი ელემენტები გამოიყენება. პარტიის ემბლემა მთავარი ელემენტია სტილიზებული საქართველოს სახელმწიფო დროშა. ემბლემის ორ გვერდს ქმნის ლურჯი ქვედა შრე - ნატოსა და ევროკავშირის დროშების ფერი, ხოლო ზედა ხაზს ვიზუალურად წარმოქმნის ერთ წირზე გასწორებული საქართველოს დროშის ელემენტები. ლურჯი ქვედა შრე მონიჭნის სიმბოლოს (პუნქტუაციის პირობით ნიშანს) ქმნის, რომელიც აქცენტს აკეთებს პარტიის ემბლემის გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატები“-ს მთავარ ღირებულებებს - თავისუფლებასა და დემოკრატიას. მთლიანობაში ემბლემა გარე, სამკუთხედის ფორმის კონტურული ხაზი წარმოქმნის საქართველოს პოლიტიკური რუკის წარმოსახვით სიმბოლურ მოხაზულობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. პარტიის ემბლემის ტექნიკური მახასიათებლები: ემბლემის ორ გვერდს ქმნის მკვეთრი ლურჯი ხაზები, ხოლო ზედა აბსტრაქტულ ხაზს გამოსახავს ერთ სიბრტყეზე გასწორებული საქართველოს დროშის ელემენტები. მკვეთრი ლურჯი ხაზები წარმოადგენს გეომეტრიის საწყისს - სწორ ხაზებს, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება ორივე მხარეს. პარტიის ემბლემაში გამოყენებული საქართველოს სახელმწიფო დროშა მოცემულია „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად („საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი,

რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი: ჯვრის გვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედეში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის ბოლნურ-კაცხური ჯვარი“). დროშის განივი გვერდის მთელ გასწვრივ დატანილია წარწერა ლურჯი შრიფტით ქართულ ენაზე: „თავისუფალი დემოკრატები“, ხოლო გამოსახულების ქვემოთ, დროშის შესაბამისი განივი გვერდის გასწვრივ და ქართული წარწერის პარალელურად, ასევე ლურჯი შრიფტით ინგლისურ ენაზე - Free Democrats“. პარტიის ემბლემის ძირითადი ფერები განსაზღვრულია შემდეგი მოცემულობით: 1. Panton - 2. CMYK - 3. RGB.

- 1.7. პარტიის იურიდიული მისამართია: რ. თაბუკაშვილის ქ. #27, (ს/ი 0108), თბილისი საქართველო.

თავი II - პარტიის ძირითადი მიზნები და მათი განხორციელების ფორმები

- 2.1. პარტიის ძირითადი მიზნებია:
 - 2.1.1. ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით, ისტორიულ-კულტურული ღირებულებებისა და ეროვნული თვითმყოფადობის თავისებურებების გათვალისწინებით სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება;
 - 2.1.2. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება, უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, განმტკიცება, უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ეროვნული თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა, განვითარება და გაძლიერება;
 - 2.1.3. სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების კონცეფციის შემუშავება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრესის მისაღწევად ისეთი სისტემური პოლიტიკის დანერგვა, როგორც გაითვალისწინებს ადამიანთა თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს;
 - 2.1.4. დასავლურ ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემებში საქართველოს ინტეგრაცია;
 - 2.1.5. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, პიროვნების თვითრეალიზაციისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური გარანტიების ჩამოყალიბება;
 - 2.1.6. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკის შემუშავება და მოქალაქეების სოციალური დაცვის მყარი გარანტიების შექმნა.
 - 2.1.7. საქართველოში ადამიანის პირადი, ქონებრივი და პოლიტიკური უფლებების რეალიზაციისთვის სათანადო სამართლებრივი და სოციალური გარემოს ჩამოყალიბება;
 - 2.1.8. დემოკრატიული თვითმმართველობისა და თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო სისტემების შექმნა;
 - 2.1.9. ხელისუფლების საქმიანობაზე მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების არსებობისთვის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა;
 - 2.1.10. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დემოკრატიული პრინციპების დანერგვის, კონცეფციების, და ტრანსპარენტული სისტემების შექმნისა და უზრუნველყოფის მიზნით;
- 2.2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პარტია იყენებს ყველა კანონიერ გზას, ფორმასა და საშუალებას.

თავი III - წევრობა

- 3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც ეთანხმება პარტიის წესდებას, იზიარებს პარტიის მიზნებს, მათი განხორციელების ფორმებს და იხდის საწევრო შენატანს.
- 3.2. პარტიის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობით. მოქალაქის განცხადების საფუძველზე წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 3.3. პარტიის წევრთა საწევრო შენატანის ოდენობას ადგენს პარტიის გამგეობა.
- 3.4. პარტიის წევრთა აღრიცხვის წესს და საწევრო შენატანის გადახდის ვადებს ადგენს პარტიის გამგეობა.
- 3.5. მოქალაქის პარტიაში გაწევრიანებისთვის აუცილებელია პარტიის პოლიტიკური საბჭოს ან გამგეობის ერთი წევრის წერილობითი რეკომენდაცია ან პარტიის არანაკლებ ორი წევრის წერილობითი რეკომენდაცია.
- 3.6. პარტიის წევრად მიღების შესახებ განცხადება წარედგინება პარტიის ცენტრალურ ან/და რაიონული ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.
- 3.7. პარტიის წევრობიდან გასვლა ნებაყოფლობითია.
- 3.8. პარტიის წევრი უფლებამოსილია:
 - ა) მიიღოს მონაწილეობა პარტიის მიზნების განხორციელებაში;
 - ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;
 - გ) წერილობითი განცხადების საფუძველზე გავიდეს პარტიიდან.
- 3.9. პარტიის წევრი ვალდებულია:
 - ა) დაიცვას პარტიის წესდება;
 - ბ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში;
 - გ) შეასრულოს პარტიის შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისა და ორგანოების გადაწყვეტილებები;
 - დ) საკუთარი ქმედებით არ დაუშვას პარტიის, მის მიერ არჩეული კურსისა და მიზნების დისკრედიტაცია;
 - ე) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საარჩევნო კამპანიაში;
 - ვ) დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადოს საწევრო შენატანი.
- 3.10. წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის პარტიის წევრს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინარული პასუხისმგებლობა:
 - ა) გაფრთხილება;
 - ბ) პარტიის წევრობის შეჩერება;
 - გ) პარტიიდან გარიცხვა.
- 3.11. პარტიის წევრის მიმართ გაფრთხილების სახით დისციპლინარული პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის შესაბამისი (რეგიონალური, საქალაქო, რაიონული, ქალთა და/ან ახალგაზრდული) ორგანიზაცია, ხოლო პარტიის წევრობის შეჩერებისა და პარტიიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას, შესაბამისი ორგანიზაციის წარდგენის საფუძველზე, პარტიის გამგეობა. პარტიის წევრის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება წერილობით უნდა იყოს, დასაბუთებული.
- 3.12. პარტიას შესაძლებელია ჰყავდეს მხარდამჭერი, რომელიც არ წარმოადგენს პარტიის წევრს.

თავი IV - სტრუქტურა

- 4.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა. პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა პარტიის გამგეობა, ხოლო პარტიის უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოა პარტიის სარევიზიო კომისია.
- 4.2. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე.
- 4.3. პარტიის სტრუქტურაში შეიძლება შეიქმნას შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მათ შორის პარტიის რეგიონალური, საქალაქო, რაიონული, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები. ორგანიზაციის ხელმძღვანელს ირჩევს შესაბამისი ორგანიზაციის კონფერენცია.

თავი V - პარტიის ყრილობა

- 5.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო - პარტიის ყრილობა (შემდგომში - ყრილობა), წარმოადგენს პარტიის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.
- 5.2. ყრილობა მოიწვევა პარტიის თავმჯდომარის მიერ ოთხ (4) წელიწადში ერთხელ მაინც. ყრილობა უნდა დაიწყოს მოწვევიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.
- 5.3. ყრილობის დელეგატების არჩევისა და ყრილობაზე ასარჩევ თანამდებობებზე კანდიდატთა დასახელების წესებს განსაზღვრავს პარტიის გამგეობა და ყრილობის ჩატარების ვადებსა და დღის წესრიგთან ერთად ყრილობის დაწყების დღემდე არაუგვიანეს სამი (3) კვირისა აცნობებს პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.
- 5.4. საგანგებო ყრილობა შესაძლებელია მოწვეულ იქნას პარტიის თავმჯდომარის, გამგეობის ან სარევიზიო კომისიის მიერ 5.2 და 5.3 პუნქტებში განსაზღვრული წესების შესაბამისად.
- 5.5. ყრილობის დღის წესრიგს ადგენს ყრილობის მოწვევი. პარტიის გამგეობის ან სარევიზიო კომისიის მიერ ყრილობის მოწვევის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარეს უფლება აქვს დღის წესრიგში შეიტანოს სხვა საკითხებიც.
- 5.6. ყრილობა გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.
- 5.7. ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე დელეგატთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა წინამდებარე წესდებით გათვლისწინებული შემთხვევებისა.
- 5.8. ყრილობის უფლებამოსილებას განეკუთვნება:
 - ა) პარტიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დამსწრე დელეგატთა 2/3 -ის გადაწყვეტილებით;
 - ბ) პარტიის თავმჯდომარის არჩევა;
 - გ) პარტიის გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა;
 - დ) პარტიის ყრილობის დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
 - ე) პარტიის რეორგანიზაციისა და/ან ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა დელეგატთა 3/4-ის გადაწყვეტილებით;
 - ვ) გადაწყვეტილებების მიღება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება.
- 5.9. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად პარტიის ყველა ხელმძღვანელი პირის, ორგანოს, სტრუქტურული ქვედანაყოფისა და წევრისათვის.

თავი VI - პარტიის გამგეობა

- 6.1. პარტიის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა პარტიის გამგეობა (შემდგომში - გამგეობა), რომლსაც ოთხი (4) წლის ვადით ირჩევს ყრილობა. გამგეობა წარმართავს პარტიის მიმდინარე საქმიანობას.
- 6.2. გამგეობის შემადგენლობაში შედის და მას ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე.

- 6.3 გამგეობა თავისი შემადგენლობიდან, ხმათა უმრავლესობით. პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით, 4 (ოთხი) წლის ვადით, ირჩევს პარტიის გენერალურ და პოლიტიკურ მდივნებს.
- 6.4 გამგეობის სხდომა იმართება 3 (სამ) თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის სხდომას იწვევს პარტიის თავმჯდომარე მოწვევის თარიღამდე სულ ცოტა სამი (3) დღით ადრე, ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული და/ან სატელეფონო შეტყობინების გზით. გამგეობის სხდომის დღის წესრიგს ადგენს პარტიის თავმჯდომარე ან გამგეობის წევრთა 1/3, ამ წესდების 6.11 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
- 6.5 გამგეობა გადაწყვეტილება უნარიანია თუ მის სხდომას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი.
- 6.6 გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში პარტიის თავმჯდომარე სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით.
- 6.7 გამგეობა უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს (გადაირჩიოს) პარტიის გენერალური და პოლიტიკური მდივნები ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.
- 6.8 გამგეობის გადაწყვეტილება ძალაში შედის პარტიის თავმჯდომარის წერილობითი თანხმობის შემდეგ.
- 6.9 იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება პარტიის თავმჯდომარე, გადაწყვეტილება ძალაში შედის, თუ მას მხარს დაუჭერს გამგეობის წევრთა 2/3. გამგეობა უფლებამოსილია შეცვალოს გადაწყვეტილება ან მოიწვიოს პარტიის ყრილობა და მის წინაშე დასვას საკითხი გამგეობის გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.
- 6.10. გამგეობა უფლებამოსილია და მის კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) პარტიის სტრუქტურის დამტკიცება;
 - ბ) პარტიის საწევრო შენატანის ოდენობის განსაზღვრა;
 - გ) ყრილობის დელეგატთა არჩევის და ორგანიზაციის კონფერენციების ჩატარების წესის მიღება;
 - დ) პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების შიდა სტრუქტურის, შინაგანაწესის, სამტატო განრიგის, შრომის ანაზღაურების ოდენობის წესის დამტკიცება;
 - ე) საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში ასარჩევად პარტიის კანდიდატთა შერჩევის წესის მიღება და წარსადგენი კანდიდატურების დამტკიცება;
 - ვ) პარტიის პოლიტიკური კურსის განსაზღვრელი დოკუმენტების (პროგრამის და სხვ.) შემუშავება;
 - ზ) პოლიტიკური განცხადებებისა და მიმართვების შემუშავება და დამტკიცება;
 - თ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ახალი თანამდებობების შემოღება, პარტიის თავმჯდომარის და/ან გამგეობის წარდგინებით აღნიშნულ თანამდებობებზე პირთა არჩევა/გათავისუფლება (გადაირჩევა). ასევე მათი უფლებამოსილებების განსაზღვრა;
 - ი) პარტიის გენერალური და პოლიტიკური მდივნების ანგარიშების მოხმენა გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
 - კ) პარტიის წევრთა მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
 - ლ) პარტიის რიგგარეშე ყრილობის მოწვევა;
 - მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა გადაწყვეტილებების მიღება.

- 6.11 გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პარტიის თავმჯდომარის, პარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა 1/3-ს მოთხოვნით წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად. გამგეობის რიგგარეშე სხდომა ტარდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პარტიის საქმიანობიდან გამომდინარე აუცილებლობისას ან წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში ან მისი მოწვევის უფლებამოსილების შქონე პირებისა და ორგანოების შეხედულებისამებრ.
- 6.12. გამგეობა ანგარიშვალდებულია პარტიის ყრილობის წინაშე.

თავი VII - პარტიის პოლიტიკური საბჭო

- 7.1. პარტიის პოლიტიკური საბჭო არის პარტიის სათათბირო ორგანო.
- 7.2. პოლიტიკური საბჭოს ხელმძღვანელობს პარტიის თავმჯდომარე.
- 7.3. პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარტიის თავმჯდომარე, პარტიის გენერალური მდივანი, პარტიის პოლიტიკური მდივანი, პარტიის გამგეობის წევრები, პარტიის რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პარტიის წევრები, რომლებიც არიან საპარლამენტო ფრაქციისა და საქართველოს მთავრობისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს წევრები, პარტიის ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციის, მმართველი ორგანოს წევრები.
- 7.4. პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და/ან პარტიის პოლიტიკური მდივნის წარდგინებით გამგეობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში წევრების დამატება.
- 7.5. პოლიტიკური საბჭოს სხდომა იმართება საჭიროებისამებრ. სხდომას იწვევს და დღის წესრიგს ადგენს პარტიის თავმჯდომარე მოწვევის თარიღამდე სულ ცოტა ხუთი (5) დღით ადრე. პოლიტიკური საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, იაუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
- 7.6. პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილებები ჩიილება; დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
- 7.7. პარტიის პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:
- ა) პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი დოკუმენტების (პროგრამის და სხვ.) პროექტების დამტკიცება;
 - ბ) პოლიტიკური განცხადებებისა და მიმართებების პროექტების მიმზადება;

თავი VIII - პარტიის თანამდებობის პირები

- 8.1. პარტიის თანამდებობის პირებია: პარტიის თავმჯდომარე, პარტიის გენერალური მდივანი და პარტიის პოლიტიკური მდივანი.
- 8.2. პარტიის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც მოქმედებს პარტიის წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.2.1. პარტიის თავმჯდომარე:
- ა) წარმოადგენს პარტიას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
 - ბ) პარტიის სახელით აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებსა და მიმართებს;
 - გ) იწვევს პარტიის ყრილობას და ხელმძღვანელობს მის სხდომებს;
 - დ) ადგენს ყრილობის დღის წესრიგს;

- ე) ხელს აწერს პარტიის ყრილობის, პოლიტიკური საბჭოსა და გამგეობის გადაწყვეტილებებს;
 - ვ) იწვევს პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და გამგეობის სხდომებს და ხელმძღვანელობს მას;
 - ზ) პარტიის გამგეობას წარუდგენს პარტიის გენერალური და პოლიტიკური მდივნების კანდიდატურებს;
 - თ) პარტიის სახელით ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტაციას;
 - ი) უფლებამოსილია დანიშნოს თავისი წარმომადგენელი და განსაზღვროს მისი უფლებამოსილების ფარგლები;
 - კ) გამოსცემს ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - ლ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინადადებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- 8.2.2 პარტიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს პარტიის გენერალური მდივანი.
- 8.2.3. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება გადადგომის, ყრილობის მიერ მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან გარდაცვალებისას. გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში გამგეობა, ერთი თვის ვადაში, იწვევს პარტიის ყრილობას, რომელიც ირჩევს პარტიის ახალ თავმჯდომარეს. პარტიის გამგეობის მიერ ყრილობის მოწვევამდე პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახორციელებს პარტიის გენერალური მდივანი.
- 8.3. პარტიის გენერალური მდივანი:
- ა) უზრუნველყოფს ყრილობის, პარტიის თავმჯდომარისა და პარტიის გამგეობის გადაწყვეტილებების აღსრულებას;
 - ბ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების შიდა სტრუქტურას, შინაგანაწესს, საშტატო განრიგს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და ორგანიზაციის კონფერენციების ჩატარების წესს;
 - გ) კოორდინაციას უწევს პარტიის საქმიანობას;
 - დ) უფლებამოსილია წერილობითი თხოვნით მიმართოს პარტიის თავმჯდომარეს გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევასთან დაკავშირებით;
 - ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პარტიის აქტივების მიზნობრივ განკარგვას;
 - ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დებს გარიგებებს პარტიის სახელით და გამოსცემს ბრძანებებს;
 - ზ) ექვს თვეში ერთხელ პარტიის გამგეობას წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, ხოლო გამგეობის მოთხოვნის შემთხვევაში - არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა;
 - თ) უფლებამოსილია პარტიის გამგეობას წარუდგინოს წინადადებები პარტიის რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციების შექმნის ან/და გაუქმების თაობაზე, კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;
 - ი) უფლებამოსილია პარტიის გამგეობას წარუდგინოს წინადადებები პარტიის დარგობრივი კომისიების, სხვა სპეციალური საბჭოების შექმნის ან/და გაუქმების თაობაზე და ხელმძღვანელობს მათ.
 - კ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და წინადადებარე წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

- 8.4. პარტიის პოლიტიკური მდივანი უზრუნველყოფს პარტიის პოლიტიკური კურსის განსაზღვრელი დოკუმენტების (პროგრამის და სხვ.) პროექტების მომზადებას და კოორდინაციას უწევს პარტიის პოლიტიკური საბჭოს მუშაობას.
- 8.7. პარტიის გენერალურ და პოლიტიკურ მდივნებს უფლებამოსილება შეუწყდებათ გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალებისას, ასეთ შემთხვევაში გამგეობა თავისი შემადგენლობიდან (თითხმეტი) 14 დღის ვადაში ირჩევს პარტიის ახალ შესაბამის მდივანს.

თავი IX - სარევიზიო კომისია

- 9.1. სარევიზიო კომისია წარმოადგენს პარტიის უმაღლეს მკაცრად დამოუკიდებელ ორგანოს 3 (სამი) წევრის შემადგენლობით, მათ შორის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რომელთაც ირჩევს ყრილობა 4 (ოთხი) წლის ვადით.
- 9.2. სარევიზიო კომისია საქმიანობას წარმართავს წინამდებარე წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 9.3. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია:
- ა) აკონტროლოს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობა და განახორციელოს შესაბამისი დოკუმენტაციის რევიზია;
 - ბ) ზედამხედველობა გაუწიოს პარტიის საქმიანობის შესაბამისობას წინამდებარე წესდების მოთხოვნებთან;
 - გ) აკონტროლოს და უზრუნველყოს პარტიაში შემავალი ქვედანაყოფების დებულებისა და პარტიის შინაგანაწესის შესრულება;
 - დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით მიმართოს პარტიის გამგეობას, პარტიის თავმჯდომარეს და ყრილობას;
 - ე) წერილობით მიმართოს პარტიის თავმჯდომარეს გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის მოთხოვნით;
 - ვ) მოიწვიოს ყრილობა პარტიის ხელმძღვანელი პირის ან პარტიის სხვა ორგანოების წინაშე დასმული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
 - ზ) პარტიის თავმჯდომარის, პარტიის გენერალური მდივნის რეკომენდაციით ან საკუთარი ინიციატივით პარტიის შიდა სტრუქტურულ ერთეულებში მიაგლინოს/გამოიწვიოს მუდმივმოქმედი ან/და დროებითი წარმომადგენელი;
 - თ) განიხილოს პარტიის წევრთა მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის გამოყენების კანონიერება და მიზანშეწონილობა. ამ საკითხზე სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება შეცვალოს მხოლოდ პარტიის ყრილობამ;
 - ი) მიმართოს გამგეობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ან რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნით, ხოლო გამგეობის მხრიდან მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში - მოიწვიოს ყრილობა წინამდებარე წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად; ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით პარტიის ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა.
- 9.4. სარევიზიო კომისია თავისი საქმიანობის შესახებ შესაბამის ანგარიშს წარუდგენს პარტიის ყრილობას.

9.5. სარევიზიო კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9.6. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე:

- ა) ხელმძღვანელობს სარევიზიო კომისიას;
- ბ) იწვევს და ხელმძღვანელობს სარევიზიო კომისიის სხდომებს;
- გ) განსაზღვრავს სარევიზიო კომისიის შიდა სტრუქტურულ მოწყობას, შემადგენლობას, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და წესს;
- დ) მიმართავს გამგეობას სარევიზიო კომისიის საქმიანობისთვის გათვალისწინებული აუცილებელი სახსრების გამოყოფის მოოხონით;
- ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სარევიზიო კომისიის შიდა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებს;
- ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და სხვა აქტებს;
- ზ) ახორციელებს წინამდებარე წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

9.7. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყვეტა გადადგომის ან გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევაში პარტიის თავმჯდომარე ერთი თვის ვადაში სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ასარჩევად წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით იწვევს პარტიის ყრილობას.

თავი X - ზოგადი და სპეციალური წარმომადგენლობა

- 10.1. პარტიის ზოგადი წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობს პარტიის თავმჯდომარე.
- 10.2. პარტიის სპეციალური წარმომადგენლობის უფლებით სარგებლობენ პარტიის გენერალური და პოლიტიკური მდივნები წინამდებარე წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებათა განხორციელებისას.

თავი XI - პარტიის ქონება და ფინანსები

11.1. პარტიის ქონება და ფინანსები იქმნება:

- ა) საწევრო შენატანებით;
- ბ) შემოწირულობებით, რომლებიც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;
- გ) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;
- დ) სხვა შემოსავლებით, რომელიც ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით;

11.2. პარტიის ფულად სახსრებს განკარგავს პარტიის გამგეობა.

თავი XII - წესდებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

- 12.1. პარტიის წესდების შეცვლა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით.
- 12.2. წინამდებარე წესდების 12.1. პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა 2/3-ის უმრავლესობით.

თავი XIII - პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

- 13.1. პარტიის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მისი რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის საფუძველზე.



ՄԱՅԻՍ ԵՐԵՎԱՆ

Գրքի «Հայաստանի Հանրապետության Կոնստանտի Կոմիտեի»-ի մասին

- 13.2. Հայաստանի Հանրապետության Կոնստանտի Կոմիտեի մասին հրահանգի հիմամբ հաստատված կարգը.
- 13.3. Հայաստանի Հանրապետության Կոնստանտի Կոմիտեի կողմից հաստատված կարգը.
- 13.4. Հայաստանի Հանրապետության Կոնստանտի Կոմիտեի կողմից հաստատված կարգը.